



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მოპასუხე

მოპასუხე, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც ასახელებს მოსარჩელე როგორც მის მოთხოვნაზე პასუხისმგებელ პირს სამოქალაქო ან ადმინისტრაციულ პროცესსა და არბიტრაჟში.

მ. ვალდებულია, სასამართლოს წარუდგინოს შესაგებელი, რ-ითაც უპასუხებს სასარჩელო მოთხოვნას. დასაბუთებულ შესაგებელს უნდა დაერთოს მასში მითითებული ყველა გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება. სამოქალაქო საქმეზე შესაგებლის არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობის შემთხვევაში სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას.

მოსარჩელის მსგავსად, **მ**-ს უფლება აქვს პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით მიიღოს მონაწილეობა საქმის განხილვაში: სასამართლოს წარუდგინოს ახსნა-განმარტება და სხვა მტკიცებულებები, შეამდგომლობები, განაცხადოს აცილება; გაეცნოს საქმის მასალებს და გადაიღოს მათი ასლები; მონაწილეობა მიიღოს მტკიცებულებების გამოკვლევაში; დაუსვას შეკითხვები მხარეებს და მათ წარმომადგენლებს, მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს; წარადგინოს მოსაზრებები საქმის წარმოებისას წამოჭრილ ყველა საკითხზე; ჩაიბაროს სასამართლოს გადაწყვეტილება, განჩინება და სხვა საპროცესო დოკუმენტი და გაასაჩივროს ისინი; სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შემთხვევაში მოითხოვოს მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა.

თუ სასამართლო დაადგენს, რომ სარჩელი აღძრულია არასათანადო **მ**-ის მიმართ, მოსამართლეს შეუძლია მოსარჩელის თანხმობით შეცვალოს იგი სათანადო მ-ით.

მ-ს შეუძლია ცნოს სარჩელი მთლიანად ან ნაწილობრივ, მოურიგდეს მოსარჩელეს ან მასთან შეთანხმებით მოითხოვოს საქმის მედიატორისთვის გადაცემა.

ი. უკმაჯურიძე
